Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№18, ნოემბერი, 2021

2020 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების გეოგრაფია

ელეონორა ჭანია

თორნიკე კვარაცხელია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: eleonora.tchania@gmail.com

E-mail: tornike.kvaratskhelia112@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

ელექტორატის საარჩევნო ქცევაზე გავლენას უამრავი ფაქტორი ახდენს, მათ შორის ის ადგილი, სადაც ამომრჩეველი ცხოვრობს და საქმიანობს. ხშირად ეს უკანასკნელი და მასთან დაკავშირებული ფიზიკურ-გეოგრაფიული თუ სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები კონკრეტული საარჩევნო ქცევის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორებია. მოცემული ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს საქართველოს მოსახლეობის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გეოგრაფიული ასპექტები. კვლევის პროცესში აქცენტი გაკეთდა ამომრჩეველთა ქცევის ძირითადი კომპონენტების - აქტივობისა და ხმის მიცემის ტერიტორიულ თავისებურებებზე. აგრეთვე, განხილულია უკანასკნელი სამი საპარლამენტო არჩევნების დროს მოსახლეობის აქტივობის დინამიკა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბოლო სამი საპარლამენტო არჩევნების დროს მოსახლეობის აქტივობა საგრძნობლად მერყეობდა, როგორც მთლიანობაში, ასევე გეოგრაფიულ ჭრილში. ტრადიციულად აქტიურია მაღალმთიანი რეგიონების (სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ზემო აჭარის) მოსახლეობა. რაც შეეხება პარტიებს, ბოლო ორი საპარლამენტო არჩევნების დროს გამოიკვეთა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ და „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ პროპორციული წესით მიღებული ხმების პროცენტული წილი თითქმის უცვლელად შეინარჩუნეს. მათზე მოდის ამომრჩეველთა მთელი ხმების დაახლოებით 75%. თუმცა, მსხვილ ქალაქებში და განსაკუთრებით დედაქალაქში შეინიშნება ტენდენცია, რომ ზემოთ ნახსენები ორივე ყოფილი და მოქმედი სახელისუფლებო პარტიების ამომრჩეველი ტენდენციურად იკლებს, სამაგიეროდ თბილისში ხმების მნიშვნელოვანი რაოდენობა აიღეს ახლად შექმნილმა და პატარა პარტიებმა, როგორებიცაა „გირჩი“, „ლელო“, და „სტრატეგია აღმაშენებელი“. საბოლოო ჯამში, ბოლო სამი საპარლამენტო არჩევნების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ელექტორატის ქცევაში უკვე იკვეთება მკაფიო გეოგრაფიული ტენდენციები.

საკვანძო სიტყვები: საპარლამენტო არჩევნები, არჩევნების გეოგრაფია, საქართველოს ელექტორატი, ამომრჩეველთა აქტივობა, ხმის მიცემა.

შესავალი

არჩევნების გეოგრაფია ერთ-ერთ მნიშვნელოვან დისციპლინად გვევლინება არჩევნების შედეგის განხილვის პროცესში. არჩევნების გეოგრაფია არის გეოგრაფიული სივრცის კონტექსტში და გეოგრაფიული ტექნიკის გამოყენებით არჩევნების მეთოდების, ქცევისა და შედეგების ანალიზი. კერძოდ, ეს არის ორმაგი ურთიერთქმედების გამოკვლევა, რომელშიც გეოგრაფიული ფაქტორი გავლენას ახდენს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, ხოლო საარჩევნო სისტემის გეოგრაფიული სტრუქტურა გავლენას ახდენს საარჩევნო შედეგებზე(Agnew, 1996).

არჩევნების გეოგრაფია პოლიტიკური გეოგრაფიის ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა, რომელიც პრაქტიკულად ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ თუ რა გავლენები აქვთ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს ქვეყნის შიგნით. აღნიშნული დისციპლინა ცდილობს არა მარტო აღწეროს არჩევნების შედეგების ტერიტორიული თავისებურებები, არამედ დაუკავშიროს ისინი სხვადასხვა გეოგრაფიულ ფაქტორს და საბოლოო ჯამში ახსნას მათი გამომწვევი მიზეზები. ამგვარად, მას ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და აკადემიური სფეროს წარმომადგენლების გარდა, პოლიტიკოსებსა და მოქალაქეებშიც დიდ ინტერესს იწვევს. არჩევნების გეოგრაფია ფოკუსირებულია სივრცის, ადგილისა და საარჩევნო პროცესების ურთიერთქმედებაზე. შესაბამისად, ის იკვლევს გეოგრაფიული კონტექსტის გავლენას ამომრჩეველთა გადაწყვეტილებებზე, სხვადასხვა პარტიების საარჩევნო სტრატეგიებზე და საარჩევნო სისტემების ფუნქციონირების საკითხებს. არჩევნების გეოგრაფიული კუთხით კვლევა აგრეთვე, გვეხმარება აღმოვაჩინოთ საარჩევნო სისტემის ის ხარვეზები, რომლებიც აუცილებლად დასახვეწია. ამ ტიპის კვლევებისას ვიგებთ რამდენად ადეკვატურადაა ქვეყანა საარჩევნო ოლქებად დაყოფილი? მათ შორის ხომ არ ხდება მთავრობის მიერ საარჩევნო ოლქებით მანიპულაცია ანუ ე.წ. „ჯერიმენდერინგი“? სხვადასხვა საარჩევნო ოლქებში მცხოვრები ამომრჩევლების ხმებს აქვთ თუ არა ერთნაირი წონა? დაცულია თუ არა კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა? ამგვარად არჩევნების გეოგრაფიას შეუძლია თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს საარჩევნო სისტემის დახვეწაში.

2020 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შედეგების შესწავლა კიდევ უფრო საინტერესო გახდა მას შემდეგ, რაც მნიშვნელოვნად შეიცვალა მისი ჩატარების წესი. არჩევნები პროპორციულ საარჩევნო სისტემასთან მეტად დაახლოებით ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ 120 დეპუტატი შეირჩა პროპორციული სიით, ხოლო 30 მაჟორიტარულით. ასევე, დაიწია ბარიერიც, 5%-დან - 1%-მდე, რამაც პატარა ოპოზიციური პარტიების პარლამენტში შესვლის შანსები მკვეთრად გაზარდა.

საგულისხმოა, რომ 2020 წლის არჩევნები COVID-19 -ის პანდემიის ფონზე მიმდინარეობდა. უბნებისთვის შემუშავდა სანიტარულ-ჰიგიენური და სოციალური დისტანციის წესები. იზოლაციასა და სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში მყოფი ამომრჩევლებისთვის შეიქმნა სპეციალური უბნები. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის შიგნით საარჩევნო პროცესს არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა აღნიშნული OSCE/ODIHR-მა დადებითად შეაფასა. პირველი ტურის შემდეგ, თბილისში საპროტესტო აქციები გაიმართა, ერთ-ერთი მათგანი საბოლოოდ წყლის ჭავლითაც კი დაიშალა.

პარლამენტის დაკომპლექტების პროცესი რთული და გრძელვადიანი აღმოჩნდა, აღნიშნული ახლაც გრძელდება. 6-თვიანი ბოიკოტის შემდეგ მანდატის მქონე თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია დათანხმდა პარლამენტში შესვლას. გადაწყვეტილების საფუძველი კი გახდა ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მიერ ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის შეთავაზებული დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტისა და რთული მედიაციის პროცესის წარმართვის უმთავრესი ამოცანა არჩევნების შემდგომ შექმნილი პოლიტიკური კრიზისის დაძლევა იყო. თუმცა, 2021 წლის 28 ივლისს მმართველმა პარტიამ დატოვა 19 აპრილის შეთანხმება, პარალელურად პარლამენტი დატოვა პარტიამ „გირჩი-მეტი თავისუფლება“. ჯერჯერობით უცნობია, დატოვებენ თუ არა შეთანხმებას ოპოზიციური პარტიები და დარჩებიან თუ არა პარლამენტში. არჩევნების ჩატარების ცხრა თვის თავზეც გრძელდება პარლამენტის დაკომპლექტება. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გეოგრაფიული თავისებურებების კვლევა საკმაოდ აქტუალურია.

ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სამართლიანი არჩევნების ჩატარება პრობლემური საკითხია. წლების განმავლობაში არაერთი მთავრობა ადმინისტრაციული რესურსის დახმარებითა და სხვა მანიპულაციებით ცდილობდა არჩევნები მისთვის სასურველი შედეგით დამთავრებულიყო. ამ ყველაფერმა კი საბოლოო ჯამში არა მარტო დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას შეუშალა ხელი, არამედ პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა არჩევნების გეოგრაფიული თავისებურებების კვლევა. მართალია ქვეყნის მოსახლეობის ელექტორატის ქცევა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, მაგრამ არჩევნების საკითხებზე მომუშავე მკვლევრები(გიორგი გოგსაძე, რევაზ გაჩეჩილაძე, დავით სიჭინავა, ვლადიმერ ჩხაიძე და სხვ.) უკვე გამოყოფენ გარკვეულ თავისებურებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ამომრჩეველთა გადაწყვეტილების მიღებაზე.

2020 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნები განსხვავებული წესებით ჩატარდა. ცვლილებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მანამდე არსებული 73 მაჟორიტარული მანდატის 30-მდე შემცირებაა. ეუთო ოდირის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია თავის საბოლოო ანგარიშში აცხადებს, რომ მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შემცირების მიუხედავად, ზოგადად არ არსებობს ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების გამოყოფის მკაფიო კრიტერიუმები. შედეგად საარჩევნო ოლქების უმრავლესობა ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. ელექტორატის საშუალო რაოდენობიდან გადახრა 30-დან 18 ოლქში 15%-ზე მეტია. ეს უკანასკნელი კი ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილებას რომლის თანახმადაც საარჩევნო ოლქებს შორის გადახრა „ვენეციის კომისიის“ კარგი პრაქტიკის კოდექსს უნდა ეფუძნებოდეს, რომლის მიხედვითაც გადახრა მაქსიმუმ 10 უკიდურეს შემთხვევაში 15 პროცენტის ტოლი უნდა იყოს. ეს ყველაფერი კი საბოლოო ჯამში იწვევს სხვადასხვა ოლქებში რეგისტრირებული ელექტორატის ხმების თანაბრობის პრინციპის დარღვევას. აგრეთვე, საარჩევნო ოლქების საზღვრების ცვლილების შედეგად, კერძოდ მარნეულისა და

გარდაბნის ოლქების გაერთიანებით ეთნიკურ აზერბაიჯანელებს პარლამენტში წარმომადგენლობა შეუმცირდათ. მსგავსი ფაქტი ჯერ კიდევ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისას დაფიქსირდა, როდესაც ეთნიკური უმცირესობა სომხებით კომპაქტურად დასახლებული ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები ერთ მაჟორიტარულ ოლქად გაერთიანდა(ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 2021).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების მეცნიერებმა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე დაკვირვებისას სტატიაში „ელექტორალური ქცევის ზოგადი მახასიათებლები და რეგიონული თავისებურებები: საქართველოს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები“ გამოყვეს 4 ძირითადი ფაქტორი: გეოგრაფიული, ეთნოდემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და პიროვნული გავლენა, რომლებიც სათითაოდ ან ერთდროულად გავლენას ახდენენ მოქალაქეების ელექტორალურ ქცევაზე. აღნიშნული ფაქტორების შედეგად, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე გამოვლინდა შემდეგი თავისებურებები: ეთნიკური უმცირესობები ერთ-ერთი მაღალი აქტივობით გამოირჩევიან და მხარს ყოველთვის სახელისუფლებო ძალას უჭერენ, ქალაქების მოსახლეობა, სოფლის მაცხოვრებლებისგან განსხვავებით მმართველი ძალის მიმართ უფრო კრიტიკულად არის განწყობილი, დევნილები და კონფლიქტური რეგიონის მაცხოვრებლები ხმას ძირითადად ხელისუფლებას აძლევენ, მთავრობის მხარდაჭერას მნიშვნელოვნად განაპირობებს წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობა და რეგიონულ ავტორიტეტებს მოსახლეობის საარჩევნო ქცევაზე დიდი გავლენა აქვთ(Chkhaidze et. At., 2008).

მკვლევარი დავით სიჭინავა სტატიაში „დაპირისპირების თეორია და საქართველოს საარჩევნო გეოგრაფიები“ 2008 წლის საპრეზიდენტო და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების ანალიზისას მიდის დასკვნამდე რომ ქართველი ელექტორატის ქცევაში გარკვეულწილად ვლინდება სეიმურ ლიპსეტისა და სტინ როკანის შემუშავებული დაპირისპირების თეორიის გარკვეული ასპექტები, კერძოდ ცენტრი-პერიფერიისა და ქალაქი-სოფლის დაპირისპირებები. ავტორის აზრით პირველი მათგანი საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მკვეთრად პროსახელისუფლებო საარჩევნო ქცევაში გამოიხატება. ხოლო ქალაქი-სოფლის დაპირისპირება, ძირითადად იდეური ხასიათისაა და ვლინდება იმაში, რომ ქალაქის ელექტორატი უფრო პლურალისტური და ოპოზიციურად განწყობილია, მაშინ როდესაც სოფლის მოსახლეობა მხარს ძირითადად მმართველ ძალას უჭერს. ავტორი თვლის, რომ სეიმურ ლიპსეტისა და სტინ როკანის მიერ შემუშავებული თეორიისგან განსხვავებით, საქართველოს მოქალაქეების ელექტორალურ ქცევაში არსებულ დაპირისპირებებს სხვა მიზეზები უდევს საფუძვლად. დავით სიჭინავა თვლის, რომ ისინი არა ინდუსტრიული რევოლუციის პროდუქტები, არამედ კომუნისტური მმართველობისა და პრეკომუნისტური რეგიონული კულტურული მემკვიდრეობის შედეგია(სიჭინავა, 2015).

ახალგაზრდა მკვლევრები იზა ვაშაკიძე და დავით კვარაცხელია სტატიაში „2016 წლის საპარლამენტო არჩევნები: ელექტორალური ქცევის გეოგრაფიული თავისებურებები“ მივიდნენ დასკვნამდე, რომ ქართველი ამომრჩევლების ქცევაში ვლინდება თვალსაჩინო რეგიონული განსხვავებები. ავტორებმა

კვლევის შედეგად კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ტენდენციურად უფრო ხშირად აფიქსირებს თავის მოსაზრებას არჩევნებში ვიდრე აღმოსავლეთის. სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და გურია ტრადიციულად ყველაზე მაღალი აქტივობით გამორჩეული რეგიონებია. აგრეთვე, ხშირად ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობა ერთმანეთისგან განსხვავებულ არჩევანს აკეთებს. ამ ტენდენციებიდან გამომდინარე, მათი აზრით, ქართველი ამომრჩევლების ელექტორალურ ქცევაზე გავლენას ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფაქტორთან ერთად ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორიც ახდენს. მათი აზრით ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების ზემოთ აღნიშნული თავისებურებები განსხვავებული ეკონომიკური საქმიანობისა და ისტორიული განვითარების შედეგია(ვაშაკიძე და კვარაცხელია, 2016).

ხარაზმის უნივერსიტეტის (ირანი,თეირანი) მკვლევრებმა 2015 წელს გამოაქვეყნეს სტატია სახელწოდებით -“ გეოგრაფიასა და არჩევნებს შორის ურთიერთობის ახსნა (საარჩევნო გეოგრაფია)“. სტატია მიმოიხილავს არჩევნების გეოგრაფიის დისციპლინის თავისებურებასა და მის მნიშვნელობას მეცნიერებაში. მკვლევრებს განხილული აქვთ სხვადასხვა მეცნიერთა - ანდრე ზიგფრიდის, ჯონ აგნიუს, რონალდ ჯონ ჯონსონის და სხვათა მიდგომები. ირანელი მკვლერების მოსაზრებით არჩევნების გეოგრაფია არის გეოგრაფიული მიდგომა დემოკრატიისა და არჩევნების საკითხებისადმი, სადაც მოქალაქეთა პოლიტიკური ქცევის პრინციპებს საფუძვლად უდევს მმართველი სტრუქტურებისადმი დამოკიდებულება და მოთხოვნები. საარჩევნო გეოგრაფიის განსხვავებული განმარტებები არსებობს და როგორც ჩანს, ამის მიზეზია: სხვადასხვა ქვეყანაში არჩევნებისადმი განსხვავებული მიდგომა(Kavianirad & Rasouli, 2014). “ამასთან, როდესაც ფრანგმა მეცნიერმა ანდრე ზიგფრიდმა, საარჩევნო გეოგრაფიის ფუძემდებელმა, შემოგვთავაზა ეს სფერო, არჩევნების გეოგრაფიის დარგი განვითარდა პოლიტიკური და გეოგრაფიული მეცნიერების სფეროდან. ეს ნიშნავს, რომ ორი დარგის თითოეული ექსპერტი, ზოგიერთი მიზეზის საფუძველზე, მიიჩნევს, რომ ეს მათი მეცნიერების სფეროს კუთვნილება და შესწავლის საგანია. ამასთან, პოლიტოლოგიისა და სოციოლოგიის მრავალი მოდელი საარჩევნო პროცესში ორიენტირებულია "ვინ"-ზე; მაგრამ არჩევნების გეოგრაფია გარდა "ვინ"-ზე, ყურადღებას ამახვილებს "სად" ცხოვრობს ადამიანი და როგორ გარემოში; დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილის როლის გააზრებასა და ანალიზს, სწორედ ამ თვალსაზრისით, გამოიყოფა შემდგომში სივრცითი განსხვავებები. „ადგილის მიდგომა“ არის ელემენტების კომბინაცია, როგორიცაა ეთნიკური, კლასობრივი ან სოციალურ - ეკონომიკური და გეოგრაფიული გარემო, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ არჩევნების შედეგებზე. გეოგრაფების გამოცდილებით, რელიგიური, მატერიალური და სოციალური გამოცდილება გავლენას მოახდენს ამომრჩეველთა ხმებზე. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ერთ ფაქტორზე ფოკუსირება ვერ დაეხმარება მკვლევარს არჩევნების შედეგების, მრავალფეროვნებისა და სივრცული ნიმუშის მიმოხილვაში. გეოგრაფები ცდილობდნენ ამ საკითხის ყველა მიზეზის ერთად განხილვას, მაგრამ სხვადასხვა გზით ისტორიულად და კულტურულად განსხვავებული სხვადასხვა ადგილისთვის, პოლიტიკური შერჩევისა და წარმომადგენელთა კომპოზიციის ანალიზი ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე შეიძლება ეფექტური იყოს”(Agnew 1997 as cited in Kavianirad & Rasouli 2014)). “გეოგრაფია ახალ

განზომილებას მატებს არჩევნების შესწავლას. გეოგრაფები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ საარჩევნო ქცევის შესწავლას ადგილმდებარეობის, სივრცული ურთიერთქმედების და განაწილების მიმართ. გეოგრაფიულ კვლევებში, სივრცული დიფერენციაცია აისახება რუკაზე, რომლის ასახვის მეთოდი შემდეგი სამი კითხვის ფუნქციაა: 1- რომელი ფაქტორებია გადამწყვეტი ნიმუშის ჩამოყალიბებაში? 2 - რა შედეგები მოაქვს ამას? 3 - როგორ შეიძლება შეიცვალოს ეს ნიმუშები კონკრეტული მიზნების მისაღწევად" (Johnston 1990 as cited in Kavianirad & Rasouli 2014).

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია წარმოაჩინოს საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის არჩევნებისას გამოვლენილი ელექტორალური ქცევის გეოგრაფიული თავისებურებები. კვლევის პროცესში აქცენტი გავამახვილეთ ამომრჩეველთა აქტივობასა და საპარლამენტო არჩევნებში პარტიების მიერ მიღებულ ხმებზე. გაანალიზებული სტატისტიკური მასალის შედეგად შევქმენით ციფრული რუკები, სადაც თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ჩატარებული არჩევნების გეოგრაფიული თავისებურებანი. აგრეთვე, ტენდენციების გამოსავლენად სტატისტიკური მასალა განვიხილეთ მსხვილი ქალაქების, საარჩევნო ოლქებისა და რეგიონების ჭრილში. ნაშრომში გამოყენებულია სტატისტიკისა და დოკუმენტების ანალიზის მეთოდები, რომლებიც თავისმხრივ, ეფუძნება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ მასალებს. გამოყენებულია მეორეულ მონაცემთა ანალიზიც. რუკები შექმნილია ჩვენ მიერ გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემებისა (GIS) და კარტოგრაფიული (Adobe Illustrator) პროგრამების გამოყენებით.

დისკუსია და შედეგები

ქართველ ამომრჩეველთა ელექტორალური ქცევა პერმანენტულად იხვეწება. სწორედ, ამიტომ მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ ჩატარებული არჩევნების შედეგებს და გავაანალიზოთ თითოეული მათგანის მნიშვნელობა დინამიკაში. შესაძლოა ითქვას, რომ ქართული ელექტორატი უფრო აქტიურია გარდამტეხი გადაწყვეტილების პერიოდში, მნიშვნელოვანი ცვლილებების მოლოდინში, როდესაც მაღალია პოლიტიკური ფსონები. აღნიშნული დასკვნის საფუძველს კი წარმოადგენს ბოლო სამი საპარლამენტო არჩევნების მონაცემები. ამომრჩეველთა აქტივობა 2012 წელს დაფიქსირდა 59.5% , 2016-ში 51.8%; 2020-ში 56.1%. 2020 წელს აქტივობა გაიზარდა ყველა რეგიონში გურიისა და რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის გარდა, თუმცა ორივე რეგიონში 2016 წლის მსგავსად კვლავ ყველაზე მაღალი აქტივობა დაფიქსირდა. რაც შეეხება დანარჩენ რეგიონებს, სამეგრელოსა და იმერეთის გარდა, ყველგან ამომრჩეველთა აქტივობამ მკვეთრად მოიმატა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. რეგიონების ფონზე 2020 წლის აქტივობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან სამეგრელო, ქვემო ქართლი და თბილისი, 2016 წლის მსგავსად.



რუკა. 1.1 ამომრჩეველთა აქტივობა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში (2012, 2016 და 2020 წლები)

***რუკა შედგენილია სტატიების ავტორების მიერ. მონაცემთა წყარო :**
https://cesko.ge/geo/static/3466/aqtivoba

ზოგადად, აღსანიშნავია რომ, ბოლო წლების განმავლობაში ამომრჩეველთა აქტივობის მაჩვენებელი დასტაბილურდა და ევროპული ქვეყნების მსგავსად 50-60%-ის ფარგლებში მერყეობს.



გრაფ. 2.1 ამომრჩეველთა აქტივობის დინამიკა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში (1990-2020 წლები)

***გრაფიკი შედგენილია სტატიის ავტორების მიერ. მონაცემთა წყაროები :**

1. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია. საქართველო - არჩევნების ისტორია 1919-2017

2. https://archiveresults.cec.gov.ge/2020.html

ამასთანავე, კიდევ ერთხელ დადასტურდა ტენდენცია, რომ დასავლეთ საქართველოს ელექტორატი უფრო აქტიურია ვიდრე აღმოსავლეთის. აგრეთვე, ტრადიციულად აქტიურია მაღალმთიანი რეგიონების(სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ზემო აჭარის) მოსახლეობა. აღსანიშნავია რომ ქვემო ქართლის რეგიონი, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ეთნიკურად აზერბაიჯანელია 2016 წლის მსგავსად კვლავ ყველაზე დაბალი აქტივობით გამოირჩეოდა, თუმცა შეიძლება ითქვას რომ მათი პოლიტიკური ინტეგრაციის ხარისხი მაღალია, ვინაიდან ელექტორატის დიდი ნაწილი ოპოზიციურად არის განწყობილი. ამასთანავე თბილისში კვლავ შენარჩუნდა ტენდენცია, რომ შედარებით პერიფერიულ, ღარიბ უბნებში აქტივობა დაბალია, რაც მკვლევართა ვარაუდით შეიძლება გამოწვეული იყოს ამ ადგილებიდან მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციით საზღვარგარეთ(ვაშაკიძე და კვარაცხელია, 2016).



რუკა. 1.2 საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2020: აქტივობა საარჩევნო ოლქების მიხედვით

***რუკა შედგენილია სტატიების ავტორების მიერ. მონაცემთა წყარო :**
https://archiveresults.cec.gov.ge/2020.html

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად პროპორციული სიით განაწილებული 120 მანდატიდან 60 „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა. მანვე გაიმარჯვა ოცდაათივე მაჟორიტარულ ოლქში და პარტიამ კიდევ 4 წლის ვადით შეინარჩუნა ძალაუფლება. მოცემული არჩევნების შედეგად მმართველმა ძალამ მოახერხა მხარდამჭერთა შენარჩუნება. წინა საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით მიღებული ხმების წილი მხოლოდ 0,4% შემცირდა, თუმცა საკმაოდ შეიცვალა მათი გეოგრაფიული განაწილება. პარტიის მიღებული ხმების წილი მცხეთა-მთიანეთის გარდა, გაიზარდა ყველა მხარეში. რეგიონებს შორის „ქართულ ოცნებას“ 2016 წლის მსგავსად ყველაზე მეტად მხარს კვლავ სვანეთი-რაჭა-ლეჩხუმისა და ჯავახეთის ელექტორატი უჭერს. აღსანიშნავია, რომ ჯავახეთის ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის პოლიტიკური ინტეგრაციის ხარისხი ჯერჯერობით მნიშვნელოვნად არ იცვლება. რეგიონის ამომრჩევლები ძირითადად სახელისუფლებო ძალას უჭერენ მხარს. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, როდესაც ხელისუფლებაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იყო, მმართველ ძალას ჯავახეთის ელექტორატის 77%-ზე მეტმა დაუჭირა მხარი. 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში კი ხმების 60%-ზე მეტი უკვე „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო.



რუკა. 1.3 საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2020. „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული ხმები საარჩევნო ოლქების მიხედვით

***რუკა შედგენილია სტატიის ავტორების მიერ. მონაცემთა წყარო :**

https://archiveresults.cec.gov.ge/2020.html

რეგიონებში წარმატების მიუხედავად პარტიას კვლავ უჭირს მხარდაჭერის მოპოვება მსხვილ ქალაქებში. თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში „ქართულმა ოცნებამ“ საერთო ხმების 45%-ზე ნაკლები მიიღო. ასეთი დაბალი მაჩვენებელი კი არცერთ სხვა საარჩევნო ოლქში არ დაფიქსირებულა. უშუალოდ დედაქალაქში, 2016 წელთან შედარებით „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული ხმების წილი 6%-ით შემცირდა. ხმებმა ძირითადად დაიკლო ცენტრალურ უბნებში.



რუკა. 1.4 საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2020. „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული ხმები თბილისის საარჩევნო ოლქების მიხედვით

***რუკა შედგენილია სტატიების ავტორების მიერ. მონაცემთა წყარო :**

https://archiveresults.cec.gov.ge/2020.html

2020 წელს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ სცადა ოპოზიციური პარტიების გაერთიანება და საპარლამენტო არჩევნებში მმართველ ძალასთან კოალიციით დაპირისპირება. ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილი ამ ინიციატივას არ დაეთანხმა და საბოლოო ჯამში მან მხოლოდ სამ პარტიასთან ერთად შექმნა საარჩევნო ბლოკი, რომელიც ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა, რადგან პარტიამ თითქმის უცვლელად გაიმეორა წინა საპარლამენტო არჩევნების შედეგი. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოახერხა რეგიონთა უმრავლესობაში ამომრჩეველთა შენარჩუნება. 2016 წლის მსგავსად პარტიას ყველაზე მეტად მხარს სამეგრელოსა და ქვემო ქართლის რეგიონების

ამომრჩევლები უჭერენ. თუმცა, ორივე მათგანში ხმების წილი უმნიშვნელოდ შემცირდა. მხარდაჭერა გაიზარდა აჭარაშიც. აღსანიშნავია, რომ ჯავახეთისაგან განსხვავებით, ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების პოლიტიკური პლურალიზმის ხარისხი შედარებით გაიზარდა, რადგან დიდია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა რაოდენობა ანუ ზოგადად ოპოზიციური განწყობა.

მართალია, პარტიამ მოახერხა რეგიონთა დიდ ნაწილში ამომრჩეველთა შენარჩუნება, თუმცა მათ ფონზე მკვეთრად შემცირდა ხმების წილი სამცხესა და ჯავახეთში პირველში 10%-ით, ხოლო მეორეში 16%-ით. ჯავახეთში ხმების ასეთი მკვეთრი კლება შეიძლება უკავშირდებოდეს პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლისა და ლიდერის მიხეილ სააკაშვილის განცხადებას 2020 წ. ყარაბაღის კონფლიქტის შესახებ, კერძოდ მან აღნიშნა, რომ მთიანი ყარაბაღი არის აზერბაიჯანის სახელმწიფოს ტერიტორია, რამაც გაანაწყენა ჯავახეთში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვს.



რუკა. 1.5 საქართველოს პარლამენტის არჩევნები: საარჩევნო ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ მიერ მიღებული ხმები საარჩევნო ოლქების მიხედვით.

***რუკა შედგენილია სტატიის ავტორების მიერ. მონაცემთა წყარო :**

https://archiveresults.cec.gov.ge/2020.html

მსხვილ ქალაქებში „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ აგრეთვე შეინარჩუნა ამომრჩეველი. თბილისში რუსთავსა და ქუთაისში მათი ელექტორატის წილი რამდენიმე მეასედი პროცენტით შემცირდა, თუმცა ბათუმში დაახლოებით 5%-ით გაიზარდა. დედაქალაქში პარტიამ ყველა საარჩევნო ოლქში მოახერხა მხარდამჭერთა შენარჩუნება და 2016 წლის მსგავსად 2020 წელსაც შეინიშნება თავისებურება, რომ პარტიის მიერ მიღებული ხმები იმატებს ცენტრალურიდან პერიფერიული უბნებისკენ.



რუკა. 1.6 საქართველოს პარლამენტის არჩევნები: საარჩევნო ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ მიერ მიღებული ხმები თბილისის საარჩევნო ოლქების მიხედვით.

***რუკა შედგენილია სტატიის ავტორების მიერ. მონაცემთა წყარო :**

https://archiveresults.cec.gov.ge/2020.html

აგრეთვე, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კვლევისას გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო თავისებურება, კერძოდ მსხვილი ქალაქები რეგიონებთან შედარებით საპროტესტო არეალებია და აქ ახალ ოპოზიციურ პარტიებს ყველაზე მეტი მხარდამჭერი ჰყავთ. ოთხ მსხვილ ქალაქში თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში „გირჩმა“ მიიღო თავის საერთო ხმების 77%(მათ შორის თბილისში 63%) „ლელომ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“ 50%-ზე მეტი. „გირჩი“ თბილისსა და რუსთავში „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემდეგ მესამე ძალად იყო წარმოდგენილი. ქუთაისსა და ბათუმში კი უპირატესობა „სტრატეგია აღმაშენებელმა“ მოიპოვა. ამ უკანასკნელმა ყველაზე მეტი ხმა მიიღო ისნის საარჩევნო ოლქში, სადაც მაჟორიტარად საარჩევნო ბლოკის ლიდერი გიორგი ვაშაძე იყრიდა კენჭს. საპარლამენტო არჩევნებზე მოსალოდნელზე ნაკლები ხმების რაოდენობა მიიღო „ევროპულმა საქართველომ“. პარტიამ, რომელიც მეცხრე მოწვევის პარლამენტში 21 დეპუტატით იყო წარმოდგენილი, რეგიონთა უმრავლესობაში ხმების 2-4

პროცენტამდე წილი მოიპოვა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში წარუმატებლად იასპარეზა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმაც“, რომლის მიღებული ხმების პროცენტული წილი 2016 წელთან შედარებით თითქმის ყველა რეგიონში განახევრდა. პარტიას საკუთარი მკვეთრად ნაციონალისტური და ანტითურქული რიტორიკის გამო უკანასკნელი ორი საპარლამენტო არჩევნებისას ყველაზე ნაკლებად მხარს ეთნიკურად აზერბაიჯანელებით დასახლებული საარჩევნო ოლქები, ხოლო ყველაზე მეტად ჯავახეთის ეთნიკურად სომეხი ელექტორატი უჭერს.



გრაფ. 2.2 საქართველოს მსხვილი ქალაქების წილი პარტიების მიერ მიღებულ საერთო ხმებში

***გრაფიკი შედგენილია სტატიის ავტორების მიერ. მონაცემთა წყარო :**
https://archiveresults.cec.gov.ge/2020.html

ბოლო სამი საპარლამენტო არჩევნების შედეგების შესწავლისას შეინიშნება ტენდენცია, რომ დედაქალაქში მხარდაჭერის მოპოვება უჭირს როგორც „ქართულ ოცნებას“ ისე „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, ამავდროულად კი იზრდება სხვა ოპოზიციური პარტიების ელექტორატი. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში თბილისში ამ ორი პარტიის მიღებული ხმების ჯამი 65%-ია, მაშინ როდესაც ზოგადად საქართველოში 75% დაფიქსირდა. აღნიშნული ფაქტები კი მიუთითებს იმას, რომ დედაქალაქი ორმაგად საპროტესტოა რაშიც ვგულისხმობთ, რომ აქ ტენდენციურად იკლებს ორივე როგორც ამჟამინდელი, ისე ყოფილი სახელისუფლებო ძალების მხარდაჭერა.



გრაფ. 2.3 ხმების განაწილება თბილისში 2012-2016-2020 საპარლამენტო არჩევნებში

***გრაფიკი შედგენილია სტატიის ავტორების მიერ. მონაცემთა წყარო :**

https://archiveresults.cec.gov.ge/2020.html

დასკვნა

საბოლოო ჯამში, ვფიქრობთ, მეტად საინტერესო აღმოჩნდა არჩევნების გეოგრაფიის კონტექსტში საქართველოს საპარლამენტო არჩევნების ანალიზი. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი დასკვნები მოგვაწოდა ქართულ ელექტორატზე. კვლევისას აშკარად გამოიკვეთა გეოგრაფიული ფაქტორების მნიშვნელობა ელექტორატის საარჩევნო ქცევის ჩამოყალიბებაში. ნაშრომის მთავარი მიგნებაც სწორედ ისაა, რომ საქართველოს ელექტორატის ქცევაში იკვეთება თვალსაჩინო გეოგრაფიული ტენდენციები. ბოლო სამი 2012, 2016 და 2020 წლების საპარლამენტო არჩევნების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაც უფრო მაღალია პოლიტიკური ფსონები მით უფრო აქტიურია ელექტორატი. 2020 წლის არჩევნების შედეგებით კვლავ დასტურდება ტენდენცია, რომ დასავლეთ საქართველოს ელექტორატი უფრო აქტიურია ვიდრე აღმოსავლეთის. თავის მხრივ, მისასალმებელია რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონები, განსაკუთრებით, ქვემო ქართლი პლურალისტური გახდა, თუმცა ჯავახეთის რეგიონი რჩება მმართველი ძალის ძლიერ მხარდამჭერად. აღსანიშნავია, რომ მსხვილი ქალაქები, მათ შორის დედაქალაქი, ნაკლებად აქტიურია, ვიდრე სასოფლო დასახლებები. აგრეთვე, პატარა ოპოზიციური პარტიების უმრავლესობას ამომრჩეველთა ძირითადი ნაწილი მსხვილ ქალაქებში(თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში) ჰყავთ. თბილისი გამოკვეთილია, როგორც საქართველოში ყველაზე პლურალისტური საარჩევნო რეგიონი. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მთელი ქვეყნის მასშტაბით „ქართულმა ოცნებამ“ და „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჯამში საერთო ხმების 75% მიიღეს, ხოლო უშუალოდ დედაქალაქში ანალოგიური მაჩვენებელი 65 პროცენტის ტოლი იყო. მართალია, ქვეყნის შიგნით სხვადასხვა აქტორი დღემდე არალეგიტიმურად მიიჩნევს მეათე მოწვევის საპარლამენტო არჩევნებს, თუმცა ეუთო ოდირის სადამკვირვებლო მისიამ მთლიანობაში საარჩევნო პროცესი დადებითად შეაფასა. ამავდროულად, აღნიშნულმა სადამკვირვებლო მისიამ წარმოადგინა მნიშვნელოვანი შენიშვნები ცესკოს ორგანიზაციის, საარჩევნო კანონმდებლობასა და საარჩევნო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, რომელთა განხორციელება მომავალში გააუმჯობესებს საარჩევნო პროცესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

Agnew, J. (1996). Mapping politics: how context counts in electoral geography. *In Political Geography, Volume 15, Issue 2, pp. 129-146.* Elsevier: London, United Kingdom.

Chkhaidze, V., Gogsadze, G., Salukvadze, J., & Sichinava, D. (2008). General Characteristics and Regional Patterns of Electoral Behavior: 2008 Presidential Elections in Georgia. Region and Regionalism, 9(2), 65–78.

Kavianirad, M., & Rasouli, M. (2015). Explanation of relationship between Geography and Elections (Electoral Geography). *Geopolitics Quarterly*, *10*, 93-108.

Sichinava, D. (2015). Cleavage Theory and the Electoral Geographies of Georgia. In Nodia, G. & C. Stefes (Eds.), Security, Democracy and Development in the Southern Caucasus and the Black Sea Region, Interdisciplinary Studies on Central and Eastern Europe, Vol. 14, 27-44.

ამომრჩეველთა აქტივობა (2012). პარლამენტის არჩევნები 2012. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია. https://cesko.ge/geo/static/385/aqtivoba-2012

ამომრჩეველთა აქტივობა (2016). პარლამენტის არჩევნები 2016. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია. https://cesko.ge/geo/static/2412/amomrchevelta-aqtivoba

ამომრჩეველთა აქტივობა (2020). პარლამენტის არჩევნები 2020. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია. https://cesko.ge/geo/static/3466/aqtivoba

არჩევნების შედეგები (2012). პარლამენტის არჩევნები 2012. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია. https://cesko.ge/geo/elections/2012

არჩევნების შედეგები (2016). პარლამენტის არჩევნები 2016. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია. https://cesko.ge/geo/elections/2016

არჩევნების შედეგები (2020). პარლამენტის არჩევნები 2020. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია. https://cesko.ge/geo/elections/2020

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი. (2021). საქართველო 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში. ვარშავა.

ვაშაკიძე, ი., კვარაცხელია, დ. (2017). საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები: ელექტორალური ქცევის გეოგრაფიული თავისებურებები. სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში, 1, 70-81.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია. (თარიღის გარეშე). საქართველო - არჩევნების ისტორია 1919-2017. მოძიებულია 15 ივლისი, 2021. https://history.cec.gov.ge/PDF/Elections.pdf